საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020124514604522

№ **98-04** **15 / ივნისი / 2022 წ.**

ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში, ფერადი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში (ს/კ N01.18.13.033.139), ფერადი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (დანართი №1).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

საფუძველი:

1. შპს „გეო ენერჯი“-ს 2022 წლის 26 აპრილის N667 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე